სილამაზის კონცეპტი როგორც ტელეონომიური რეგულატივი

შორენა კუპატაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: Shorena.Kupatadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac

სილამაზე ჩვენს კვლევაში მოიაზრება, როგორც სენსორულად, მხედველობით აღქმადი, კულტურულად მარკირებული შეფასებითი კომპონენტის მატარებელი მოვლენა (ობიექტი), რაც საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა „სილამაზის“ კონცეპტის ლინგვოკულტურული სტატუსის შესახებ. კონცეპტი „Beauty / სილამაზე“განისაზღვრება ჩვენს მიერ, როგორც ლინგვოკულტურული ტელეონომიური უნივერსალური კონცეპტი-რეგულატივი, რომელიც ახდენს ერთ-ერთი უმაღლესი ზოგადსაკაცობრიო სულიერი ფასეულობის რეპრეზენტაციას. იმ დებულებიდან გამომდინარე, რომ ცნებები ექვემდებარება გააზრებას, ხოლო კონცეპტები - განცდას, გამომდინარეობს, რომ კულტურის ვერბალიზებული კონცეპტი „Beauty / სილამაზე“ მოიცავს სამ საბაზო მდგენელს: ცნებითს, ხატოვნებითსა და ფასეულობრივს.

საკვანძო სიტყვები: სილამაზე, ტელეონომიური კონცეპტი.

სილამაზე როგორც ადამიანის ფიზიკური და ემოციურ-ფსიქიკური ცხოვრების რთული, მრავალგანზომილებიანი ფენომენი-ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი ცენტ-რალური ცნებაა, კერძოდ, ისეთი დარგებისა, როგორიცაა: ანთროპოლოგია, ხელოვნებათ-მცოდნეობა, პოლიტოლოგია, რელიგიათმცოდნეობა, სოციოლოგია, ესთეტიკა და სხვ.

ფილოსოფოსები ყურადღებას ამახვილებენ, რომ ადამიანი უძველესი დროიდან ცდილობდა სილამაზით ყოფილიყო გარემოცული, რის შედეგად კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა ასეთი კითხვები: „რატომ არის ესა თუ ის მოვლენა ლამაზი?“ და „რა არის სილამაზის საფუძველი?“. სილამაზის ინტერპრეტაციის სპეციფიკას კლასიკური ტიპის ფილოსოფიაში წარმოადგენს მისი პრინციპულად არაემპირიული გაგება და მისი მიკუთვნება ტრანსცედენტული საწყისისადმი: მოვლენათა ის მხარე, რომელიც სპეციფიკური თავისებურების მხრივ არ ექვემდებარება მსჯელობას არც თეორიული ჭეშმარიტების და არც ზნეობრივი სიკეთის, მატერიალური სარგებლის

თვალსაზრისით, მაგრამ მაინც წარმოადგენს დადებითი შეფასების საგანს, წარმოადგენს ესთეტიკურად მშვენიერს, ანუ ლამაზს.

„ფილოსოფიის უახლეს ლექსიკონში“ სილამაზე განმარტებულია, როგორც კლასიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი აზრობრივი კვანძი, რომელშიც ხდება როგორც ონტოლოგიური, ასევე გნოსეოლოგიური და ეთიკური პრობლემატიკის ცენტრირება; იგი არის კულტურის სუბიექტ-ობიექტური ხასიათის უნივერსალია[მოჟეიკო 1999].

ეთიკის პოზიციებიდან, სილამაზე ასოცირდება არა იმდენად ჰარმონიასთან, რამდენადაც სტიქიასთან, რომელიც ადამიანს აიძულებს აკრძალვების დარღვევას. სილამაზის ცნება ეფუძნება წარმოდგენას ნორმის შესახებ, საიდანაც გამოირჩევა სამი მნიშვნელოვანი მომენტი: სილამაზე არაგეომეტრიულია, განუყოფელია და დაყოფილია ბუნებრივი ჯგუფებისა და კატეგორიების მიხედვით [არუტუნოვა 2004: 22].

წარმოდგენა სილამაზეზე - ადამიანის მიერ სამყაროს აღქმისა და მისი ქცევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორიენტირია; იგი ერთ-ერთი ის საბაზო კულტურული ერთეულია, რომელიც კონცეპტის სახით - კონკრეტული ვერბალური ფორმით - არსებობს ადამიანის მენტალურ სამყაროში. „როდესაც სილამაზეზე ვსაურობთ სხვადასხვა ენაზე, ვგულისხმობთ თუ არა სილამაზის ერთი და იმავე „პლატონურ“ უნივერსალურ იდეას, თუ სხვადასხვა რამეზე ვლაპარაკობთ, რუსულად ერთზე (რუსულ „სილამაზეზე“), ინგლისურად -სხვა რამეზე, გერმანულად-სხვაზე?“ [დემიანკოვი 2004: 601]. არაერთი შეპირისპირებითი კვლევის შედეგები მოწმობს, რომ სილამაზე როგორც ლინგვოკულტურული კონცეპტი, როგორც სამყაროს ენობრივი სურათის ფრაგმენტი, რელევანტურია შესაბამისი კულტურისათვის.

კონცეპტოლოგიაში განასხვავებენ პარამეტრულ და არაპარამეტრულ კონცეპტებს. პარამეტრულია კონცეპტები, რომლებიც წარმოადგენენ ობიექტთა რეალური ნიშან-თვისებების შეპირისპირებისათვის აუცილებელი კლასიფიკაციის კატეგორიებს (სივრცე, დრო, სიცარიელე), ხოლო არაპარამეტრული - რომლებსაც გააჩნიათ საგნობრივი შინაარსი (სინდისი, პატიოსნება, მორალი, ცოდვა და ა.შ.). არაპარამეტრული კონცეპტებს შორის გამოი-ყოფა რეგულატიური და არარეგულატიური კონცეპტები. ვ.ი.კარასიკის განსაზღვრით, რეგულატიური კონცეპტები - მენტალური წარმონაქმნებია, რომელთა შინაარსში მთავარი ადგილი უკავია ფასეულობრივ კომპონენტს [კარასიკი 2005]. პირველი ტიპის კონცეპტებია, მაგალითად, „მოვალეობა“, „სიკეთე“ და ა.შ. არარეგულატივები - სხვადასხვა ხასიათის სინკრეტიული მენტალური მოვლენებია, როგორიცაა, მაგალითად, კონცეპტები: „მოგზაუ-

რობა“, „ჯანმრთელობა“, „საჩუქარი“ და სხვ. [კარასიკი 2005: 98]. რეგულატივებისა და არარეგულატივების გამიჯვნისას უფრო ზუსტი იქნება, თუ ვისაუბრებთ კონცეპტის არა ფასეულობით, არამედ აქსიოლოგიურ კომპონენტზე, რომელიც მოიცავს ფასეულობებს (უმაღლეს ორიენტირებს) და ქცევის ნორმებს [ბაბაევა 2004].

რეგულატიური კონცეპტები (რეგულატივები) კონცენტრირებული სახით შეიცავენ ამა თუ იმ ლინგვოკულტურის აქსიოლოგიურ კოდექსს. მათ შემადგენლობაში შეიძლება გამოიყოს ტელეონომიური კონცეპტები [ვორკაჩოვი 2013: 31].

ტელეონომიური კონცეპტები - უმაღლესი სულიერი ფასეულობებია, რომლისკენ სწრაფვა შეადგენს მისი ცხოვრების მორალურ გამართლებას, - იდეალს, რომლისთვისაც ღირს ცხოვრება და რომლის გამოც სიკვდილიც მისაღებია. ეს ისეთი ფასეულობებია, რომლებსაც ზოგჯერ ადამიანები მთელ თავის სიცოცხლეს უძღვნიან; ასეთი ტიპის კონცეპტებს მიეკუთვნება, მაგალითად, *„ბედნიერება“* როგორც „ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერი საქციელის მოტივი, - იმისიც კი, ვისაც თავის ჩამოხრჩობა განუზრახავს“ [პასკალი 1974: 180], *„სიყვარული“,* რომელიც მართავს სამყაროს; *„ჭეშმარიტება“, „თავისუფლება“, „სამართ-ლიანობა“* და *„რწმენა“,* რომელთა გამო სიკვდილზე მიდიან, და მრავალი სხვა [ვორკაჩოვი 2005: 39]. სილამაზის ლინგვოკულტურული კონცეპტის სტრუქტურისა და ვერბალიზაციის შესწავლამ ინგლისურსა და ქართულში საშუალება მოგვცა გამოგვევლინა მისი ტიპოლო-გიური თავისებურება და განგვესაზღვრა იგი, როგორც უნივერსალური ტელეონომიური რეგულატივი. კვლევის პროცესში, ლინგვოკონცეპტოლოგიაში აპრობირებული კვლევის მეთოდების გამოყენებით, განისაზღვრა სილამაზის კონცეპტის სემანტიკური კომპონენტების სიმრავლე, მათი ცნებითი მხარე და ძირითადი მახასიათებლები. ჩვენი კვლევის ფარგლებში, განვახორციელეთ სილამაზის შესახებ ენობრივ ცნობიერებაში არსებული წარმოდგენების აღწერა იმ ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ანალიზის გზით, რომლებიც დაკავშირე-ბულია კონცეპტის „Beauty / სილამაზე“ სახელთან; აღვწერეთ მისი სინონიმური, ანტონიმური და სიტყვათწარმოებითი კავშირები, რომელთა მეშვეობით საკლევი ლინგვოკულტურული კონცეპტი მკვიდრდება და ფუნქციონირებს ენის ლექსიკურ სისტემაში. ლექსიკოგრაფიული ანალიზის პროცესში საკვლევ ენებში გამოვლინდა „სილამაზის“ კონცეპტის სახელის შემდეგი მნიშვნელობები: 1) ნიშან-თვისებები, რომლებიც სიამოვნებას, ტკბობას ანიჭებენ ადამიანს; გარეგნული და შინაგანი სილამაზე;

2) სილამაზის შინაგანი, სულიერი ხასიათი, რომელსაც თან ახლავს ეთიკური შეფასება;

3) დადებითი ესთეტიკური შეფასება.

პრეცედენტულ ტექსტებში სილამაზე წარმოდგენილია, როგორც:

- სიამოვნების, ტკბობის მომნიჭებელი თვისება: *the captivating beauty; Outer beauty pleases the eye, inner beauty captivates the heart; სილამაზე თვალს ახარებს; დამატყვევებელი სილამაზე; სილამაზით დატკბობა;*
- თვისება, რომელიც წარმოშობს ნდობას: *A beautiful face is asilent commendation;* თვისება, რომელიც წარმოშობს სიყვარულს / რომელსაც სიყვარული წარმოშობს: *Beauty lies in lover's eyes; Beauty is in the eye of the beholder;The owl thinks all her young ones beauties; There's only one pretty child in the world and every mother has it; ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზიც ის არის; ბუს თავისი ბარტყი ფარშევანგზე ლამაზი ჰგონიაო;*
- მოჩვენებითი, ყალბი თვისება: *Beauty is but skin – deep; common sense is thicker than water; ლამაზი გარეგნობის პატრონს შეიძლება ბილწი გული ჰქონდესო; ლამაზი სახე და ბილწი გულიო.*

ინგლისურ და ქართულ პრეცედენტულ ტექსტებში ვლინდება, რომ ადამიანთან მიმართებაში გარეგნული სილამაზე უკავშირდება შინაგან, სულიერ სილამაზეს; აქცენტი კეთდება იმაზე, რომ გარეგნული სილამაზე უნდა შეესაბამებოდეს შინაგანს, სულიერს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აღიქმება იგი როგორც სრულყოფილება. ამავდროულად, უპირატესობა ენიჭება შინაგან მშვენიერებას:

Handsome is as handsome does; ლამაზს საქციელიც ლამაზი უნდა ჰქონდესო;

Inner beauty is real beauty; ლამაზი ქალის მწყემსი მისი სინდისიაო;

A person is beautiful only is he if (if he is)a good person; ლამაზი ის არის, ვინც ლამაზად იქცევა.

ამრიგად, სილამაზის კონცეპტის ტიპოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი მიეკუთვნება უნივერსალურ (ზოგადსაკაცობრიო) რეგულატიურ კონცეპტებს. სწორედ ასეთი ტიპის ტელეონომიური რეგულატივები წარმოადგენენ განსაკუთრებულ ინტერესს ხალხის როგორც ენის მატარებლის მენტალური თავისებურებების, მისი სამყაროს ენობრივი სურათის გამოსავლენად და სწორად, მაქსიმალური სისრულით აღქმის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. არუტუნოვა 2004 -Арутюнова Н.Д. Истина. Добро. Красота: взаимодействие концептов / Н.Д. Арутюнова // Логический анализ языка. Языки эстетики: концептуальные поля прекрасного и безобразного / отв. ред. Н.Д. Арутюнова. - Москва, 2004. - С. 5-29.

2. ბაბაევა 2004-Бабаева Е.В. Лингвокультурологические характеристики русской и немецкой аксиологическихкартин мира: Автореф. дисс. д-ра филол. наук, 2004.

4. ვორკაჩოვი 2013-Воркачев С.Г. Знаковая сущность лингвокультурного концепта / С.Г. Воркачев // Человек. Язык. Культура: сб. науч. ст., посвященных 60-летнему юбилею проф. В. И. Карасика: в 2 ч. - Киев, 2013. - Ч. 1. - С. 39-47.

5. დემიანკოვი 2004 - Демьянков В.З. Пленительная красота / В.З. Демьянков // Логический анализ языка. Языки эстетики. Концептуальные поля прекрасного и безобразного / сост. и отв. ред. Н.Д. Арутюнова. - Москва, 2004. - С. 169-208.

6. კარასიკი 2005-Карасик В.И. Язык, сознание, коммуникация: Сб. статей / Отв. ред. В. В. Красных, А. И. Изотов. – Москва, 2005. С.95-108.

7. მიქაძე 2006 - მიქაძე მ. მშვენიერების აღმნიშვნელი ლექსიკა სალიტერატურო ქართულში, „საენათმეცნიერო ძიებანი“, XXIII, თბ., 2006, გვ. 200-209.

8. მიქაძე 2013 -მიქაძე მ. სილამაზის ანტონიმური ლექსიკისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები, 2013, გვ. 332-335.

9.მოჟეიკო 1999 - Можейко М.А. Красота / М.А. Можейко // Новейший философский словарь. - Минск, 1999. - С. 336-338.

10.პასკალი 1974 - Паскаль Б. Мысли / Б. Паскаль // Библиотека всемирной литературы. - Москва, 1974. - Серия первая. - Т. 42. - С. 109-186.

11.ფრანკლი 1990 - Франкл В. Человек в поисках смысла: Сборник: Пер. с англ. и нем. / Общ.ред. Л.Я. Гозмана и Д. А. Леонтьева. — Москва, 1990.

12. შარაშენიძე 2018 - შარაშენიძე თ. ენის სემანტიკურ და კონცეპტუალურ სივრცეთა დიფერენცირების პრობლემა, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2018.

Shorena Kupatadze

Akaki Tsereteli State University

The Concept of Beauty as the Teleonomic Regulative

Abstract

Beauty in our study is considered as a sensory, visual perception, culturally marked assessment component (object)which allows us to make a conclusion about the lingua-cultural status

of the "beauty" concept. The concept of "Beauty" is defined by us as a linguocultural teleonomic concept-regulative, which represents one of the highest universal spiritual values. Based on the provision that the notions are subjected to perception, and the concepts to feelings, the verbalized concept of "Beauty" culture includes three basic components: conceptual, imaginative, and value.

Key words: beauty, teleonomic concept